

## ვერბალური ნაწილი

### ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუჭებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

#### **1. ყნოსვა : არმატი**

- (ა) ალლო : ინტუიცია
- (ბ) სმენა : მელოდია
- (გ) მხედველობა : ილუზია
- (დ) ინტელექტი : ერუდიცია

#### **2. სკა : თაფლი**

- (ა) რეზიდენცია : კაბინეტი
- (ბ) არქივი : დოკუმენტი
- (გ) ბედელი : ფქვილი
- (დ) მარანი : ღვინო

#### **3. სიმბოლო : პირობითი**

- (ა) ფრაგმენტი : არასრული
- (ბ) ვარიაცია : უცვლელი
- (გ) პრობლემა : გადაწყვეტილი
- (დ) მემორიალი : დავიწყებული

#### **4. დინება : ჯებირი**

- (ა) რიტმი : პაუზა
- (ბ) ბრძოლა : ფარი
- (გ) მოძრაობა : მუხრუჭი
- (დ) სიმაღლე : მოაჯირი

#### **5. მხატვრული ხერხი : ეპითეტი**

- (ა) იალქანი : აფრა
- (ბ) სკივრი : ზარდახშა
- (გ) მნათობი : პლანეტა
- (დ) მცენარე : ლერწამი

#### **6. ძაბრი : კონუსი**

- (ა) ვარსკვლავი : სამკუთხედი
- (ბ) ჰორიზონტი : ხაზი
- (გ) ჭადრაკი : ფიგურა
- (დ) აკლდამა : პირამიდა

**7. ჯავშანი : სკატანდრი**

- (ა) იგავი : ნოველა
- (ბ) გუგა : თვალი
- (გ) კვირტი : ყვავილი
- (დ) შენაკადი : შესართავი

**8. ვაკუუმი : სავსე**

- (ა) მინა : მყიფე
- (ბ) უფსკრული : ღრმა
- (გ) ორთქლი : მშრალი
- (დ) ვულკანი : ჩამქრალი

**9. სახეობა : მრავალფეროვნება**

- (ა) ბგერა : ჰარმონია
- (ბ) ფერი : სპექტრი
- (გ) იეროგლიფი : ანბანი
- (დ) აზრი : კონსენსუსი

**წინადადებების შევსება**

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდოდ პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

**10.** ზოგიერთი მცენარის ფოთლები მზის ჩასვლის წინ იკეცება და ძირს ეშვება, ხოლო მზის ამოსვლისას იშლება და ზევით იწევს. ----- თუ ამ მცენარეებს მზისგან იზოლირებულად, სრულ სიბნელეში მოვათავსებთ, ისინი ----- შეძლებენ ----- , ანუ ბუნებრივ გარემოში მყოფი ----- „მოიქცევიან“.

- (ა) უცნაურია, მაგრამ / მაინც / ცაზე მზის ადგილმდებარეობის „განსაზღვრას“ / მცენარეების მსგავსად
- (ბ) უცნაურია, მაგრამ / ვერ / ფოთლების დაკეცვას ან ზემოთ აწევას / მცენარეებისგან განსხვავებულად არ
- (გ) ბუნებრივია, / მაინც / ფოთლების დაკეცვას ან ზემოთ აწევას / მცენარეებისგან განსხვავებულად
- (დ) ბუნებრივია, / ვერ / ცაზე მზის ადგილმდებარეობის „განსაზღვრას“ / მცენარეების მსგავსად

**11.** ისევე, როგორც ყველა მისი თანამედროვე დიდი მოაზროვნე, მონტესკიეც რაციონალისტია. ამ მხრივ მას ----- მოაზროვნეთა სახით, რომლებიც ----- , რომ სახელმწიფო აგებულიყო რაციონალიზმის პრინციპებზე. ----- XVIII საუკუნის ევროპისათვის საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ----- გახლდათ.

- (ა) შორეული წინამორბედებიც ჰყავდა ანტიკური ხანის / ეწინააღმდეგებოდნენ იმას / სწორედ ამიტომ / უკვე განვლილი ეტაპი
- (ბ) მიმდევრებიც ჰყავდა XIX საუკუნის / ეწინააღმდეგებოდნენ იმას / მაგრამ / მაინც ახალი
- (გ) შორეული წინამორბედებიც ჰყავდა ანტიკური ხანის / მოითხოვდნენ / მაგრამ / მაინც ახალი
- (დ) მიმდევრებიც ჰყავდა XIX საუკუნის / მოითხოვდნენ / სწორედ ამიტომ / უკვე განვლილი ეტაპი

**12.** ხელოვნების ნაწარმოებს ----- , სხვადასხვა ეპოქა მასში ახალსა და ახალ აზრებს ----- და ხელოვნების მარადიულობაც ----- იქნებოდა. განა „სიქსტის მადონაში“ რაფაელის დროს ----- , რასაც ჩვენ?

- (ა) ერთი გაგება რომ არ ჰქონოდა / ამოიკითხავდა / შეუძლებელი / იმასვე ხედავდნენ
- (ბ) მრავალგვარი გაგება რომ ჰქონოდა / ვერ ამოიკითხავდა / მიღწეული / იმასვე არ ხედავდნენ
- (გ) ერთი გაგება რომ ჰქონოდა / ვერ ამოიკითხავდა / შეუძლებელი / იმასვე ხედავდნენ
- (დ) მრავალგვარი გაგება რომ არ ჰქონოდა / ამოიკითხავდა / მიღწეული / იმასვე არ ხედავდნენ

**13.** სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გავრცელებულ ცხოველებს შორის მსგავსება, ისევე როგორც განსხვავება, ----- კლიმატური თუ სხვა ფიზიკური პირობებით. ----- სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთ ამერიკის ტროპიკული ზონები ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით ----- , მათი ფაუნა ----- .

- (ა) სრულად აიხსნება / მართლაც, / აბსოლუტურად განსხვავებულია / კი ძალზე მსგავსია
- (ბ) სრულად ვერ აიხსნება / მართლაც, / საოცრად მსგავსია / კი აშკარად განსხვავებულია
- (გ) სრულად აიხსნება / მიუხედავად იმისა, რომ / არაფრით არაა განსხვავებული / აშკარად არაერთგვაროვანია
- (დ) სრულად ვერ აიხსნება / მიუხედავად იმისა, რომ / საოცრად მსგავსია / აბსოლუტურად ერთგვაროვანია

## ლოგოკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

### 14. მოცემულია:

- თუ თინიკო კვირას გუდაურში წავა, ის დაკარგავს ოპერის თეატრში პრემიერაზე დასწრების შესაძლებლობას
- თუ თინიკო კვირას გუდაურში არ წავა, ის დაკარგავს სასიამოვნოდ გარუჯვის შესაძლებლობას

დავუშვათ, რომ ეს წანამძღვრები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა აუცილებლად **მცდარი**?

- (ა) თინიკო არ დაკარგავს ოპერის თეატრში პრემიერაზე დასწრების შესაძლებლობას
- (ბ) თინიკო არ დაკარგავს სასიამოვნოდ გარუჯვის შესაძლებლობას
- (გ) თინიკო არ დაკარგავს ან ოპერის თეატრში პრემიერაზე დასწრების ან სასიამოვნოდ გარუჯვის შესაძლებლობას
- (დ) თინიკო არ დაკარგავს არც ოპერის თეატრში პრემიერაზე დასწრებისა და არც სასიამოვნოდ გარუჯვის შესაძლებლობას

### 15. დავუშვათ:

- ყველა მხატვარი არქიტექტორია

მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან როგორი ადამიანის არსებობაა **შეუძლებელი**?

ადამიანისა, რომელიც:

- (ა) არის მხატვარიც და არქიტექტორიც
- (ბ) არის მხატვარი, თუმცა, არ არის არქიტექტორი
- (გ) არ არის მხატვარი, მაგრამ არის არქიტექტორი
- (დ) არც მხატვარია და არც არქიტექტორი

**16.** ყუთში უწესრიგოდ ჩაყრილი საგნებიდან ეკა თვალდახუჭული იღებდა ერთს და დათვალიერების შემდეგ კვლავ ყუთში აბრუნებდა. ეს ოპერაცია მან მრავალჯერ გაიმეორა. აღმოჩნდა, რომ ყუთიდან ამოღებული ყველა საგანი იყო წითელი სათამაშო.

აქედან გამომდინარეობს, რომ ყუთში:

- (ა) მხოლოდ წითელი სათამაშოებია
- (ბ) მხოლოდ წითელი საგნებია
- (გ) მხოლოდ სათამაშოებია
- (დ) საგნების ნაწილი მაინც წითელი სათამაშოებია

**17.** მოცემულია ორი დებულება:

- თუ კარგად არ იცნობ მტაცებელ ცხოველთა ქცევის თავისებურებებს, კენიაში ლომებზე დასაკვირვებლად ვერ წახვალ
- თუ კენიაში ლომებზე დასაკვირვებლად წახვალ, ჟურნალ GEO-ში სტატიის გამოქვეყნებაზე უარს არ გეტყვიან

გამოიტანეს დასკვნა:

~~თუ ჟურნალ GEO-ში სტატიის გამოქვეყნებაზე უარი გითხრეს, როგორც ჩანს, არ ყოფილხარ კენიაში ლომებზე დასაკვირვებლად~~

*ეს დასკვნა:*

- (ა) გამომდინარეობს ორივე დებულებიდან და არ გამომდინარეობს არც ერთიდან ცალ-ცალკე
- (ბ) გამომდინარეობს თითოეული დებულებიდან ცალ-ცალკე
- (გ) გამომდინარეობს მხოლოდ ერთ-ერთი დებულებიდან
- (დ) არ გამომდინარეობს მოცემული დებულებებიდან

**18.** მუსიკის მოყვარულები ჯაზური მუსიკის კონკურსში გამარჯვებას B მუსიკოსს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, მათ გასაკვირად, კონკურსში D მუსიკოსმა გაიმარჯვა. მუსიკის მოყვარულებმა ეს ფაქტი D-ს მიმართ ჟიურის წევრთა მიკერძოებული დამოკიდებულებით ახსნეს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აყენებს ეჭვქვეშ მუსიკის მოყვარულთა ამ ვარაუდს?*

- (ა) B თავის საშემსრულებლო ტექნიკას უკეთ ავლენს სიმფონიური მუსიკის შესრულებისას
- (ბ) ჟიურის წევრთაგან ბევრი D-ს კოლეგა და მეგობარი იყო
- (გ) B განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა ამ კონკურსისთვის
- (დ) ჟიურის თავმჯდომარე ჯაზური მუსიკისადმი განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

აზროვნების უნარს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევენ და მას მეტყველების უნარს უკავშირებენ. აზროვნების გამოვლენის დასრულებული ფორმა ლოგიკური აზროვნებაა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ეს აზროვნების ერთადერთი ფორმაა, თუ მისი სხვა ფორმებიც არსებობს? როგორც გამოკვლევებიდან გაირკვა, არსებობს აზროვნების განვითარების რამდენიმე საფეხური. თითოეულ საფეხურზე აზროვნება სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მათგან უმარტივესია ე.წ. პრაქტიკული აზროვნება.

პრაქტიკული აზროვნების ცნება გერმანელმა მეცნიერმა ვ. კელერმა შემოიტანა. კელერი იკვლევდა, შეუძლია თუ არა ცხოველს (რომელიც მოკლებულია მეტყველების უნარს) განახორციელოს გონიერი ქცევა, ანუ ქცევა, რომელიც არ არის განპირობებული ინსტინქტით. კელერის მიერ ადამიანის მსგავს მაიმუნებზე ჩატარებული ექსპერიმენტების ძირითადი პრინციპი ასეთი იყო: როდესაც მიზნის მიღწევა პირდაპირი გზით შეუძლებელია, მაშინ ცხოველის ქცევას ინსტინქტი წარმართავს. მაგრამ თუ მიზნის მისაღწევად არაპირდაპირი, „შემოვლითი გზა“ საჭიროა, მაშინ ცხოველი იძულებულია ე.წ. გონიერი ქცევა განახორციელოს. კელერის ყველა ცდა ისეა აგებული, რომ მიზნის მისაღწევად ცხოველს უთუოდ შემოვლითი გზის არჩევა უხდება.

კელერი აღწერს, თუ როგორ მისწვდა შიმპანზე კოკო კედელზე მალა ჩამოკიდებულ ბანანს. როდესაც კოკომ ბანანი დაინახა, პირდაპირ გაეჭანა მისკენ, მთელი ძალით ახტა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მაშინ ის უკან გამობრუნდა, ისევ დაბრუნდა კედელთან და რამდენჯერმე გაიმეორა ეს ქცევა. შემდეგ იქვე დადებულ ყუთთან მივიდა, ზედ შედგა და ბანანისკენ გაიხედა. კოკოს მოძრაობებს თვალსაჩინო შენელება ეტყობოდა. მან რამდენჯერმე გაიარა მანძილი ყუთიდან კედლისკენ. ექსპერიმენტატორმა ბანანს ფორთოხლის ნაჭერი დაუმატა, რამაც აშკარად იმოქმედა მაიმუნის ქცევაზე: კოკო ისევ ყუთთან მივიდა, სწრაფად მიიტანა ის კედელთან, შეხტა ზედ და ხილს მისწვდა.

შიმპანზეს ქცევაში შეიძლება აზროვნების ყველა ნიშანი აღმოვაჩინოთ: ბანანის შემჩნევა განაპირობებს მისი პირდაპირი გზით (ახტომით) ხელში ჩაგდების მცდელობას – ცხოველში, უპირველეს ყოვლისა, ინსტინქტი იღვიძებს. მაგრამ რაკი მიზანს ვერ აღწევს, კოკო აქეთ-იქით სიარულს იწყებს. როდესაც კოკო ბანანს შორდება და ყუთისკენ მიდის, ის ინსტინქტის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ანუ აზროვნებას იწყებს. მის მოძრაობებს შენელება ეტყობა, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ცხოველს გაკვირვების სპეციფიკური განცდა უჩნდება. გაკვირვების განცდით დაწყებული პროცესი აზროვნებისთვის ნიშანდობლივი მეორე განცდით – მიხვედრით მთავრდება: ფორთოხლის ნაჭრის დამატებასთან ერთად ისევ ყუთთან მისვლა და უკვე მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება იმაზე მიუთითებს, რომ კოკო უცებ „მიხვდა“, თუ როგორ შეიძებოდა მიზნის მიღწევა. ცხოველის აზროვნების მიმდინარეობის რაგვარობა თვით ქცევაში, მოძრაობებში ჩანს. ქცევა აქ აზროვნების პროდუქტი კი არ არის, არამედ მისი პროცესია. მაშასადამე, აზროვნება ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი პრაქტიკისგან.

საყურადღებოა ერთი ფაქტი: სანამ კედელზე მართო ბანანი ეკიდა, კოკოს არ ჰქონდა საკმარისი სტიმული ამოცანის გადასაწყვეტად. ფორთოხლის ნაჭრის დამატებამ, ანუ სტიმულის მნიშვნელობის გაზრდამ, მიზნის მიღწევის მოთხოვნილების გაძლიერება და სათანადო ქცევა განაპირობა. ეს ნათლად გვიჩვენებს, რა მნიშვნელობა აქვს მოთხოვნილებას აზროვნების სტიმულირებისთვის.

**19.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული I აბზაცის ძირითადი აზრი?

- (ა) აზროვნების დასრულებული ფორმა მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, რადგან მხოლოდ მას აქვს მეტყველების უნარი
- (ბ) ლოგიკური აზროვნება მხოლოდ ადამიანისთვისაა სპეციფიკური, თუმცა, აზროვნების სხვა ფორმები შესაძლოა ახასიათებდეს სხვა სულიერ არსებებსაც
- (გ) აზროვნება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული ფორმით იჩენს თავს, რომელთა შორის დასრულებულია ლოგიკური აზროვნება
- (დ) აზროვნება მუდმივად ვითარდება და, შესაბამისად, ის სხვადასხვა ფორმით ვლინდება, თუმცა, ადამიანისთვის მხოლოდ ლოგიკური აზროვნებაა დამახასიათებელი

**20.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია ასახული კელერის ჰიპოთეზა, რომლის დამტკიცების შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ ცხოველებში პრაქტიკული აზროვნების არსებობის შესახებ?

- (ა) ცხოველს, რომელიც მოკლებულია მეტყველების უნარს, არ შეუძლია განახორციელოს გონიერი ქცევა, ანუ ქცევა, რომელიც არაა განპირობებული ინსტინქტით
- (ბ) როდესაც ცხოველს მიზნის მიღწევა პირდაპირი გზით შეუძლია, მის ქცევას ინსტინქტი წარმართავს
- (გ) როდესაც ცხოველი მიზნის მიღწევას არაპირდაპირი გზით ახერხებს, მაშინ ის ახორციელებს არა ინსტინქტურ, არამედ – გონიერ ქცევას
- (დ) ცხოველი, რომელიც იძულებულია მიზნის მისაღწევად უთუოდ „შემოვლითი გზა“ აირჩიოს, არა გონიერ, არამედ ინსტინქტურ ქცევას ახორციელებს

**21.** რა მიმართებაა I, II და III აბზაცებს შორის?

- (ა) I აბზაცში გამოთქმულია ვარაუდი, II-ში მოყვანილია არგუმენტები ამ ვარაუდის სასარგებლოდ, III-ში ექსპერიმენტულად დასაბუთებულია მისი მართებულობა
- (ბ) I აბზაცში დასმულია საკითხი, II-ში წარმოდგენილია ერთ-ერთი მიდგომა ამ საკითხის შესწავლისადმი, III-ში მოყვანილია ამ მიდგომის საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგები
- (გ) I აბზაცში საუბარია გარკვეული მოვლენის შესახებ, II-ში მოცემულია ამ მოვლენის არსებობის დამადასტურებელი ფაქტები, III-ში განხილულია მისი შესწავლის შედეგები
- (დ) I აბზაცში გამოთქმულია გარკვეული მოსაზრება, II-ში ეჭვქვეშაა დაყენებული მისი მართებულობა, III-ში მოცემულია ამ მოსაზრების უარყოფელი ექსპერიმენტული მონაცემები

**22.** გაკვირვება მიჩნეულია აზროვნების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. კოკოს მაგალითის მიხედვით, რა წინაპირობებია საჭირო ამ განცდის აღმოსაგენებლად?

- (ა) გარკვეული მოთხოვნების გაჩენა, მისი დაკმაყოფილებისთვის საჭირო ჩვეული ქცევის წარუმატებლობა
- (ბ) სტიმულის მნიშვნელობის გაზრდა და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების შეუძლებლობა
- (გ) სასურველი მიზნისა და მის მისაღწევად საჭირო „შემოვლითი გზის“ არსებობა
- (დ) ძლიერი ინსტინქტის გაღვიძება და შესაბამისი მოთხოვნების გაჩენა

**23.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული კოკოს მიერ გამოყენებული შემოვლითი გზა?

- (ა) ბანანი კედელზე მალა იყო ჩამოკიდებული, ისე, რომ კოკოს რამდენჯერმე დასჭირდა მთელი ძალით მალა ახტომა, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა
- (ბ) ხილს რომ მისწვდომოდა, კოკოს დასჭირდა ყუთის მიტანა კედელთან, რომელზეც ბანანი იყო ჩამოკიდებული
- (გ) კედლისგან, რომელზეც ბანანი იყო ჩამოკიდებული, ყუთი რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული, ისე, რომ კოკოს არაერთხელ მოუხდა მათ შორის მანძილის გავლა
- (დ) ფორთოხლის ნაჭრის დამატების შედეგად კოკომ შეძლო იმ გზის პოვნა, რომლითაც შესაძლებელი იყო პრობლემის გადაწყვეტა

**24.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ადასტურებს ტექსტის ავტორის მოსაზრებას, რომ შიმპანზეს „აზროვნება ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი პრაქტიკისგან“?

- (ა) შიმპანზეს ქცევაში შეიძლება აღმოვაჩინოთ აზროვნების ყველა ნიშანი: ინსტინქტის საპირისპიროდ მოქმედება, გაკვირვებისა თუ მიხვედრის განცდის გაჩენა
- (ბ) მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება იმაზე მიუთითებს, რომ კოკო უცებ „მიხვდა“, თუ როგორ შეიძლებოდა მიზნის მიღწევა
- (გ) არსებულ სიტუაციაში გარკვევა და შესაბამისი ქცევის განხორციელება აზროვნების პროცესის შედეგად გახდა შესაძლებელი
- (დ) შიმპანზეს აზროვნების შესახებ მეტყველებს კედელსა და ყუთს შორის სიარული, მოძრაობის შენელება, სტიმულის გაძლიერების შემდეგ მისი გააქტიურება



**25.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ე.წ. გონიერი ქცევის განხორციელების მაგალითს?

- I. გალიაში დამწყვდეული ციყვი ხედავს გარეთ მოთავსებულ საკვებს. გალიიდან გამოსვლის მცდელობისას ის კედლებს აწევა, გამოჰკრავს საკეტს თათს, კარი იღება და ციყვი გარეთ გამოდის
- II. კატა გალიიდან ხედავს სათამაშო თაგუნიას, ცდილობს თათით მისწვდეს მას, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ამჩნევს სათამაშოზე გამობმულ ძაფს და სათამაშოს ძაფით თავისკენ სწევს
- III. გალიაში ჭერზე ჩამოკიდებულია ბანანით სავსე კალათა. შიმპანზე იქვე მოწყობილ ფიცარნაგზე ადის და კალათიდან ბანანს იღებს

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) I და II
- (გ) მხოლოდ II
- (დ) II და III

### ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდოდ პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ მიღებულ წყვილში სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს. პასუხის არჩევასას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

**26. მიამიტი :** უნდობლობა

**უღმობელი :**

- (ა) სიმამაცე
- (ბ) მზაკვრობა
- (გ) მტრობა
- (დ) თანაგრძნობა

**27. გასდევს :** გასწვრივ

**მიმოფანტავს:**

- (ა) რიგრიგობით
- (ბ) წრიულად
- (გ) აქეთ-იქით
- (დ) ცალ-ცალკე

**28. გაიცნო :** დაუახლოვდა

**შებინდა:**

- (ა) გაცისკროვნდა
- (ბ) ირიჟრაჟა
- (გ) მოსალამოვდა
- (დ) დაღამდა

**29. ალერსიანი : პირფერი**

**კრიტიკული :**

- (ა) მკაცრი
- (ბ) დამცინავი
- (გ) ადეკვატური
- (დ) ობიექტური

**30. სიტყვა : ტერმინი**

**ტერიტორია :**

- (ა) არეალი
- (ბ) სივრცე
- (გ) გარემო
- (დ) საზღვარი

**31. თეთრი დათვი : პინგვინი**

**კენჭი :**

- (ა) ლოდი
- (ბ) ნიჟარა
- (გ) რიყე
- (დ) თიხა

**წინადადებების შევსება**

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

**32.** სახელმწიფოები კავშირებს მაშინ ----- , როცა საფრთხეს გრძნობენ. ----- , კავშირები იქმნება არა ----- კონცეფციიდან გამომდინარე, რადგან არა სახელმწიფოთა ----- განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოთა ქმედებებს, მათ შორის კავშირების წარმოქმნას.

- (ა) ქმნიან / მიუხედავად ამისა / საფრთხის წონასწორობის, არამედ ძალთა წონასწორობის / ძლიერება, არამედ მათგან მომდინარე საფრთხის აღქმა
- (ბ) არ ქმნიან / მიუხედავად ამისა / ძალთა წონასწორობის, არამედ საფრთხის წონასწორობის / მხრიდან მომდინარე საფრთხის აღქმა, არამედ მათი ძლიერება
- (გ) ქმნიან / შესაბამისად / ძალთა წონასწორობის, არამედ საფრთხის წონასწორობის / ძლიერება, არამედ მათგან მომდინარე საფრთხის აღქმა
- (დ) არ ქმნიან / შესაბამისად / საფრთხის წონასწორობის, არამედ ძალთა წონასწორობის / ძლიერება, არამედ მათგან მომდინარე საფრთხის აღქმა

**33.** კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ ----- კულტურა. ----- , როდესაც კულტურული განვითარების შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს ----- ერის კულტურული ცხოვრება.

- (ა) არ არსებობს მრავალი / ამიტომ / მრავალი განსხვავებული
- (ბ) არსებობს მხოლოდ ერთი კონკრეტული / მიუხედავად ამისა / მხოლოდ ერთი რომელიმე
- (გ) არ არსებობს მხოლოდ ერთი უნივერსალური / ამიტომ / ერთი რომელიმე კონკრეტული
- (დ) არსებობს მრავალი / მიუხედავად ამისა / მრავალი განსხვავებული

**34.** მდინარე ხმელეთის სხვადასხვა ნაწილს ერთმანეთისგან ყოფს. მით უფრო ყოფს მათ ზღვა და ამიტომ მიჩვეულნი ვართ, წყალი გამყოფ ფაქტორად მივიჩნიოთ. ----- , არაფერი ისე ----- . გამყოფი მხოლოდ ----- . მაგალითად, ხმელთაშუა ზღვამ მხოლოდ იმიტომ ----- ანტიკური სამყაროს ცენტრი გამხდარიყო, რომ ----- .

- (ა) თუმცა / დამაახლოებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც წყალი / მთიანეთია / შეძლო / იგი ზღვა იყო
- (ბ) თუმცა / დამაშორებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც წყალი / მთიანეთია / ვერ შეძლო / იგი ზღვა იყო
- (გ) ამასთან / დამაახლოებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც ხმელეთი / წყალია / შეძლო / უამრავ კუნძულს აკავშირებდა კონტინენტურ საბერძნეთთან
- (დ) ამასთან / დამაშორებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც ხმელეთი / წყალია / ვერ შეძლო / უამრავ კუნძულს აკავშირებდა კონტინენტურ საბერძნეთთან

**35.** ----- მრავალ ადამიანს ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში უხდება ცხოვრება, მათი სულიერი სამყარო ----- შთაბეჭდილებების გამო ერთმანეთს ----- ინტერესებით საზრდოობს. ----- , როგორც წესი, ერთმანეთის შინასამყაროს წვდომის ----- .

- (ა) რადგან / ერთი და იმავე / უნათესავდება, მსგავსი / ეს სულიერი ერთიანობა / საფუძველი ხდება
- (ბ) მიუხედავად იმისა, რომ / განსხვავებული / უპირისპირდება, ურთიერთსაწინააღმდეგო / ეს სულიერი დაპირისპირება / შესაძლებლობას ქმნის
- (გ) მიუხედავად იმისა, რომ / ერთი და იმავე / უნათესავდება, მსგავსი / ეს სულიერი ერთიანობა / საფუძველი ხდება
- (დ) რადგან / განსხვავებული / უპირისპირდება, ურთიერთსაწინააღმდეგო / ეს სულიერი დაპირისპირება / შესაძლებლობას გამორიცხავს

**36.** ჩვენთვის ----- მნიშვნელოვანი, ----- . დღეს, როცა ----- , საინტერესო სწორედ ისაა, თუ როგორ იწვევდნენ ეგოდენ შთაგონებას ----- .

- (ა) იმის გარკვევაა / სწამდათ თუ არა მუშების არსებობა პოეტებს / ჩვენ წინაშე აღარ დგას მუშების არსებობა-არარსებობის საკითხი / სრულიად რეალური არსებანი
- (ბ) იმის განსჯა არაა / იწვევენ თუ არა შთაგონებას მუშები / ჩვენ წინაშე დგას ხელოვნებაში მათი დანიშნულების საკითხი / არარსებული რაობანი
- (გ) იმის გარკვევაა / იწვევენ თუ არა შთაგონებას მუშები / ჩვენ წინაშე აღარ დგას ხელოვნებაში მათი დანიშნულების საკითხი / სრულიად რეალური არსებანი
- (დ) იმის განსჯა არაა / არსებობენ თუ არა მუშები / ვიცით მათი არარსებობის შესახებ / არარსებული რაობანი

**37.** როდესაც უმრავლესობასა და უმცირესობაზე მსჯელობენ, ერთი და იმავე ჯგუფის წევრებს ----- ინდივიდზე მათი გავლენის ფორმები ----- : უმრავლესობა ----- უბიძგებს პიროვნებას, ----- უმცირესობა - ----- , რაც პიროვნულ ცვლილებებს განაპირობებს.

- (ა) გულისხმობენ, სწორედ ამიტომ / მსგავსია / დამკვიდრებული ნორმების მორჩილებისკენ / და ანალოგიურად, / ახალი და არასტანდარტული გადაწყვეტილებებისკენ
- (ბ) არ გულისხმობენ, სწორედ ამიტომ / განსხვავებულია / ახალი და არასტანდარტული გადაწყვეტილებებისკენ / და ანალოგიურად, / ორიგინალური და შემოქმედებითი აზროვნებისკენ
- (გ) არ გულისხმობენ, თუმცა, / მსგავსია / სოციალური ზეწოლის წყაროა და დათმობებისკენ / ხოლო / ფიქრისა და განსჯისკენ
- (დ) გულისხმობენ, თუმცა, / განსხვავებულია / სოციალური ზეწოლის წყაროა და დათმობებისკენ / ხოლო / ფიქრისა და განსჯისკენ

**ლოგიკა**

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

**38. მოცემულია:**

- არ არის მართალი, რომ ყვავილი, რომელიც ამ ქოთანში გაიშლება, არის ეკლიანი და სამფეროვანი

თუ ეს დებულება ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) ეს ყვავილი არ არის ეკლიანი, თუმცა, სამფეროვანია
- (ბ) ეს ყვავილი არის ეკლიანი, თუმცა, არ არის სამფეროვანი
- (გ) ეს ყვავილი არის ან უეკლო, ან არასამფეროვანი, ან ორივე ერთად
- (დ) ეს ყვავილი არის ან უეკლო, ან არასამფეროვანი, მაგრამ არა ორივე ერთად

**39. დედამ ბავშვებისთვის საშობაო საჩუქრები მოამზადა: სახატავი ალბომი, ზღაპრების წიგნი და თოჯინა.**

- თათა: „ნეტავ, სახატავი ალბომი მე შემხვდეს“
- რუსუდანი: „მე არ მინდა, რომ სახატავი ალბომი შემხვდეს“
- ლიზი: „მე არ მინდა, რომ ზღაპრების წიგნი შემხვდეს“

საჩუქრები ისე განაწილდა, რომ მხოლოდ ერთის სურვილი შესრულდა. როგორ განაწილდა საჩუქრები გოგონებს შორის?

	<b>თათა</b>	<b>რუსუდანი</b>	<b>ლიზი</b>
(ა)	სახატავი ალბომი	ზღაპრების წიგნი	თოჯინა
(ბ)	სახატავი ალბომი	თოჯინა	ზღაპრების წიგნი
(გ)	თოჯინა	ზღაპრების წიგნი	სახატავი ალბომი
(დ)	ზღაპრების წიგნი	სახატავი ალბომი	თოჯინა

**40.** სკოლაში ორი მეთერთმეტე კლასია – A და B. დამკვირვებელმა, რომელიც სკოლის მუშაობას ეცნობოდა, შეამჩნია, რომ ქიმიაში A კლასის მოსწავლეებს უფრო მაღალი შეფასებები ჰქონდათ, ვიდრე – B კლასის მოსწავლეებს. ამ ფაქტის საფუძველზე მან ივარაუდა, რომ A კლასის მოსწავლეები, B კლასის მოსწავლეებთან შედარებით, ქიმიას მეტი მონდომებით სწავლობენ.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი მათებს დამაჯერებლობას ამ ვარაუდს?*

- (ა) B კლასის ქიმიის მასწავლებელი უფრო მკაცრი გამომცდელია, ვიდრე – A კლასისა
- (ბ) A კლასის ქიმიის მასწავლებელი უფრო ინტენსიურად იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ვიდრე – B კლასისა
- (გ) A კლასის მოსწავლეებს ნაკლებად ჰქონდათ ქიმიის ლაბორატორიაში პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობა, ვიდრე – B კლასის მოსწავლეებს
- (დ) B კლასის გაკვეთილების ცხრილში ნაკლები საათი ეთმობა ქიმიას, ვიდრე – A კლასის ცხრილში

**41.** სახელმწიფოში ფულის გამოცვლას გეგმავენ და უნდა გადაწყდეს, რამდენცენტისანი მონეტები დაამზადონ. მონეტები უნდა დამზადდეს შემდეგი პირობის დაცვით:

- თუ არ დამზადდება ოთხცენტისანი, ან არ დამზადდება ხუთცენტისანი მონეტა, მაშინ ორცენტისანი მონეტაც არ უნდა დამზადდეს

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია დარღვეული ეს პირობა?*

დამზადდა შემდეგი ღირებულების მონეტები:

- (ა) 1, 3, 4
- (ბ) 1, 2, 5
- (გ) 2, 4, 5
- (დ) 3, 4, 5

**42.** მოცემულია:

- თუ ბუღბუღს რაიმე სიამოვნებს, ის კარგად გალობს
- ბუღბუღს ძალიან სიამოვნებს, როდესაც ვარსკვლავებს ხედავს

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომდინარეობს ამ წინამძღვრებიდან?*

- (ა) თუ ბუღბუღი კარგად არ გალობს, ის ვარსკვლავებს ვერ ხედავს
- (ბ) თუ ბუღბუღი კარგად გალობს, ის ვარსკვლავებს ხედავს
- (გ) თუ ბუღბუღი ვარსკვლავებს ვერ ხედავს, კარგად ვერ გალობს
- (დ) თუ ბუღბუღი კარგად გალობს, მას რაღაც სიამოვნებს

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ხმელთაშუა ზღვის აუზი მსოფლიო ცივილიზაციების წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი რეგიონია. აქ შეიძლება გამოვყოთ ცივილიზაციის განვითარების სამი უმთავრესი მოდელი: შუამდინარული (ანუ მესოპოტამიური), ეგვიპტური და ეგეოსურ-ელინური.

**მესოპოტამიური** მოდელი დასაბამს იღებს შუმერულ ცივილიზაციაში. შუმერები არა მარტო პირველად მომჩინებები იყვნენ მრავალ სფეროში, არამედ შემოქმედნიც ცივილიზაციის იმ ნორმატიული ელემენტებისა, თითქმის უცვლელად რომ გადაეცემოდა ძველი აღმოსავლეთის ერთი კულტურიდან მეორეს. ამ ცივილიზაციაში შეიქმნა დამწერლობის ლურსმული სისტემა, აგრეთვე, მითოლოგიური სახეებისა და სიუჟეტების „ბანკი“, რომელიც პირვანდელი სახით გავრცელდა წინა აზიის ხალხებში. მესოპოტამიური წრის კულტურებისთვის სპეციფიკურია ის, რომ ადამიანი არ იძიებს, რა კანონზომიერება დგას თითოეული მოვლენის მიღმა – იგი ღვთიურ ნებას აღიარებს.

**ეგვიპტური** მოდელი არსებითად ერთი ეთნოსის და ერთი რეგიონის ფარგლებში ვითარდება. სხვათაგან გამიჯვნის სურვილმა ეგვიპტეში წარმოქმნა აზროვნების ის სტილი, რომელიც სხვა ხალხებისთვის ხშირად მიუწვდომელი რჩებოდა. ეს გამოიხატა, უპირველესად, ეგვიპტურ დამწერლობაში, რომელიც არასოდეს გასცილებია ქვეყნის ფარგლებს. ეგვიპტე პიროვნული ინიციატივის განვითარების გზით კი არ წავიდა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო დიდი პირამიდების ეპოქის ძველი სამეფოსთვის, არამედ ინდივიდი სრულად დაუქვემდებარა კოლექტივის ინტერესებს. ეგვიპტურ ხელოვნებაში ვეღარ ვპოვა განვითარება ვერც ძველი სამეფოსთვის დამახასიათებელმა სიცოცხლის საოცარმა სიყვარულმა, ვერც გარდამავალ ხანაში გამოვლენილმა ცხოვრების არსზე ფილოსოფიური ჩაფიქრების ელემენტებმა. აქ განვითარდა მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა, თუმცა, რეალობის აღქმა მაინც ინტუიციური, მითოსური რჩებოდა. შეიძლება საუბარი ზოგიერთი ლიტერატურული ჟანრის მესოპოტამიურ თუ ეგვიპტურ ეკვივალენტებზე, მაგრამ მათ ვერ მოიპოვებს დამოუკიდებლობა, რაც ინდივიდუალურ ავტორებს წარმოშობს (ეს მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ხელოვნების სხვა დარგებს).

**ეგეოსურ-ბერძნული** მოდელის უმთავრესი თავისებურებაა ძველადმოსავლური ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი მითოსურ-პოეტური და ახალი, საკუთრივ ელინური ცნობიერებისთვის ნიშანდობლივი კრიტიკული აზროვნების საოცარი შეზავება. ბერძნებმა ეგვიპტელთაგან მიიღეს საკუთარი განსაკუთრებულობის შეგრძნება, რაც გამოიხატა ცნობილ დაპირისპირებაში: ელინი – ბარბაროსი, თუმცა, მეზობელ ქვეყნებთან მათ ინტენსიურ კონტაქტებს „მესოპოტამიური სილაღე“ ახლდა. ელინმა შექმნა ყველაზე პოპულარული მითები, თუმცა, მანვე გადადგა პირველად ის ნაბიჯი, რომელიც მითოლოგიური აზროვნების ფილოსოფიურით შეცვლას მოასწავებდა. შესაძლოა ელინთათვის დამახასიათებელმა შეჯიბრების ანუ აგონისტურმა სულისკვეთებამაც დააჩქარა ბერძნული ცივილიზაციის განვითარება.

ეგეოსურ-ბერძნული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სამყაროს აღქმის პროცესში კრიტიკული თვითშეგნების გაძლიერებამ, დამწერლობის ახალი, სწრაფად გავრცელებადი სისტემის შემოღებამ, პოლისმა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალმა და მოქნილმა ფორმამ. პიროვნების ასპარეზზე გამოსვლამ ყველაზე მკაფიოდ თავი იჩინა პოლისების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბერძნული პოლისები მცირე სახელმწიფო ერთეულებად ჩამოყალიბდა, თუმცა, არსებობდა ელინური ერთიანობის საოცარი შეგრძნებაც. ელინურმა კულტურამ თითქმის მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი მოიცვა. პოლისის თავისუფალი მოქალაქე ხელმძღვანელობდა მისივე მონაწილეობით შექმნილი, მუდმივად სრულყოფის პროცესში მყოფი კანონებით, და, ამასთანავე, სულ უფრო და უფრო მეტად თავისუფლდებოდა უკვე შემუშავებული ნორმებისგან. მნიშვნელოვანია ისტორიული ფაქტორიც: ბერძნები ეგეოსური კულტურის მემკვიდრეები აღმოჩნდნენ. მათ შეისისხლხორცეს წინაბერძნული (ეგეოსური) კულტურის ტრადიციები, რომლებიც განვითარების მრავალ კოდს შეიცავდა.

**43.** მესოპოტამიური წრის კულტურათა წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელია ის, რომ:

- (ა) მათ შექმნეს ცივილიზაციის ნორმატიული ელემენტები, რომლებიც უცვლელად გადაეცემოდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა ცივილიზაციას
- (ბ) მათთვის მნიშვნელოვანი არ იყო იმის ცოდნა, ბუნების რომელი კანონით აიხსნება ესა თუ ის მოვლენა, შესაბამისად, არ სვამდნენ კითხვას „როგორ?“
- (გ) მათ შექმნეს დამწერლობის ორიგინალური სისტემა, არასოდეს ჰქონიათ წინა აზრის სხვა ხალხების მსგავსი რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები
- (დ) ისინი ცდილობდნენ ძველი ნორმების კრიტიკის, უარყოფის საფუძველზე სიახლე შეეტანათ მრავალ სფეროში

**44.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია მართებულად ასახული ეგვიპტური ცივილიზაციის განვითარების პერიპეტიები?

- (ა) ეგვიპტურ ცივილიზაციაში საზოგადოების მიერ პიროვნულობის ჩახშობის მცდელობამ შეაფერხა ძველი სამეფოსთვის დამახასიათებელი ერთგვარი სწრაფვა სამყაროში ადამიანის ადგილისა და დანიშნულების გააზრებისკენ
- (ბ) დიდი პირამიდების ეპოქის ძველი სამეფოსთვის ნიშანდობლივი გახდა არა ინდივიდის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე, არამედ პიროვნების ინტერესების დაქვემდებარება საზოგადოების ინტერესებისადმი
- (გ) ეგვიპტის ძველი სამეფოს ლიტერატურაში ჩამოყალიბდა მრავალი დამოუკიდებელი ჟანრი, მაგრამ ვერ წარმოიშვა ინდივიდუალური ავტორები, ინდივიდუალური ნაწარმოებები
- (დ) ძველ ეგვიპტეში ეტაპობრივად განვითარდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგი: მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა და სხვა, რადგან ეგვიპტელისთვის რეალობის აღქმა მაინც ინტუიციური, მითოსური იყო

**45.** ფრაზა – მეზობელ ქვეყნებთან მათ ინტენსიურ კონტაქტებს „მესოპოტამიური სილალე“ ახლდა – გულისხმობს, რომ:

- (ა) მესოპოტამიური წრის მრავალ კულტურას საერთო ჰქონდა მითოსი, რელიგია, დამწერლობა, შესაბამისად, ეგეოსურ ცივილიზაციაშიც ერთი ხალხიდან მეორეს პირვანდელი სახით გადაეცემოდა სხვადასხვა კულტურული მონაპოვარი
- (ბ) მესოპოტამიური წრის კულტურებში მკაფიოდ გამოვლინდა ეთნიკური თვითმყოფადობის მიმართ სრული ინდიფერენტობა, ანალოგიურად, ბერძნულ ცივილიზაციაშიც თავს იჩენს ელინური ერთიანობის შეგრძნება
- (გ) შუამდინარეთის ქვეყნებში ძალზე ინტენსიური იყო განსხვავებულ ტრადიციათა აღრევის პროცესი, ამგვარივე მოვლენებს ბერძნულ ცივილიზაციაში ხელს უწყობდა ხმელთაშუაზღვისპირეთის გეოგრაფიული გარემო
- (დ) შუამდინარეთის ქვეყნებში იდეების, ინფორმაციის ურთიერთგაცვლამ აქტიური ხასიათი მიიღო, ასევე, ბერძნებმა მათ თვალსაწიერში მყოფი ხალხების მონაპოვართა ათვისებით შექმნეს სხვებისთვის ადვილად მისაწვდომი კულტურა



**46.** ჩვენ არ ვიცით არც ერთი მესობოტამიელი მწერლისა თუ მხატვრის სახელი, მაშინ, როდესაც ცნობილია რამდენიმე ეგვიპტური ნაწარმოების ავტორი:

- „მზის სადიდებელი“, ავტორი – ფარაონ ამენჰოტეპ IV (ენხატონი)
- ჯოსერის პირამიდა, ავტორი – არქიტექტორი იმჰოტეპი
- ხეოფსის პირამიდა, ავტორი – არქიტექტორი ხემიუნი
- რამსეს მეორის ტაძარი, ავტორი – არქიტექტორი პენრა

წარმოდგენილი ცნობები ტექსტში აღნიშნულ ფაქტებს:

- (ა) არ ეწინააღმდეგება, რადგან III აბზაცს ახლავს შენიშვნა ფრჩხილებში, სადაც სიტყვა „ნაწილობრივ“ არ გამორიცხავს რამდენიმე (მით უმეტეს, ფარაონის ან ფარაონის ტაძრის თუ პირამიდის ავტორის) სახელის გახმაურებას
- (ბ) არ ეწინააღმდეგება, რადგან დიდი პირამიდების ეპოქის ძველ სამეფოში რამდენადმე შეიზღუდა პიროვნული თავისუფლება და ეგვიპტე ინდივიდუალური ინიციატივის განვითარების გზით არ წავიდა
- (გ) ეწინააღმდეგება, რადგან რეალობის აღქმა ეგვიპტეში ინტუიციური, მითოსური იყო და, შესაბამისად, აქ აინტერესებდათ მხოლოდ ვისი ნებით ხდება ესა თუ ის ფაქტი და არა – ვინ არის შემოქმედი ამა თუ იმ მოვლენის
- (დ) ეწინააღმდეგება, რადგან ეგვიპტეში მეცნიერებისა თუ ხელოვნების არც ერთ დარგს არ მოუპოვებია ისეთი დამოუკიდებლობა, რომ ინდივიდუალური ავტორები წარმოეშვა

**47.** სამყაროსადმი ადამიანის მიმართების თვალსაზრისით:

- (ა) ელინური მოდელი იმეორებს ძველი ცივილიზაციების სხვა მოდელებს, თუმცა, მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება მათგან მოვლენათა თავისებური ინტერპრეტაციით
- (ბ) განვითარების მაღალ დონეზე მყოფ შუამდინარულ და ეგვიპტურ კულტურებთან ინტენსიურმა კონტაქტებმა ელინებს გამოუმუშავა დამოუკიდებელი მსოფლალქმის უნარი
- (გ) ბერძნულ სამყაროს აღმოსავლურისგან განასხვავებდა ადამიანის, როგორც მოქალაქის, სოციალური როლი და კრიტიკული აზროვნების გაცილებით მაღალი ხარისხი
- (დ) ელინი იყო მაძიებელი, ანალიტიკოსი ადამიანი, რომლის მოთხოვნილება, შუამდინარელთა თუ ეგვიპტელების მსგავსად, ტრადიციული მემკვიდრეობის ერთგულება იყო

**48.** ბერძნული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე ხშირად არის წარწერილი ავტორთა სახელები. მაგალითად, ერთ კერამიკულ ლარნაკზე წერია: „ევთიმიდესმა მოხატა, როგორც ვერასოდეს შეძლებდა ევფრონიოსი“.

ეს წარწერა ორმხრივია საინტერესო:

- (ა) ელინური ხელოვნების აღმავლობას უკავშირდება; ხაზს უსვამს შემოქმედებითი პროდუქციის ხარისხს
- (ბ) ხელოვანის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას უკავშირდება; ელინთათვის დამახასიათებელ აგონისტურ სულისკვეთებას ავლენს
- (გ) მეზობლად მცხოვრებ ხალხებთან ბერძნების ურთიერთობას უკავშირდება; შემოქმედებითი პაექრობის აშკარა სურათს წარმოადგენს
- (დ) აღმოსავლური ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელ ტრადიციას უკავშირდება; მიუთითებს კერამიკოსის შემოქმედებით ინდივიდუალობაზე

**49.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიმართება არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) სამივე ცივილიზაციაში შეიქმნა დამწერლობის ორიგინალური სისტემა, მათგან ბერძნული მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელდა, შუმერული და ეგვიპტური კი არასოდეს გაცილებია ერთი ქვეყნის ფარგლებს
- (ბ) მესოპოტამიური და ეგვიპტური დამოუკიდებელი ცივილიზაციებია, ელინებმა კი მდიდარი ეგეოსური კულტურის განვითარების მრავალი „კოდი გახსნეს“, თუმცა, არასოდეს ყოფილან ბრმა მიმბაძველები
- (გ) ეგვიპტური ცივილიზაციის განვითარების პროცესში იშვიათად ვლინდება პიროვნული ინიციატივა, ბერძნული მოდელისთვის კი ნიშანდობლივია ადამიანი – საკუთარი თავის შეცნობის მაძიებელი
- (დ) მესოპოტამიური ცივილიზაციის განვითარებაში შინაგანი წინააღმდეგობა არ ჩანს, ელინებმა კი საპირისპირო თვისებების (მითოსურ-პოეტური – ფილოსოფიური აზროვნება, მრავალი პოლისი – ელინური ერთიანობა) ურთიერთგაწონასწორებას მიაღწიეს

**50.** ქვემოთ წარმოდგენილია სამივე ცივილიზაციის მოკლე დახასიათება:

- I მესოპოტამიური – კრიტიკული აზროვნება დაჩრდილული აქვს აღქმის ინტუიციურ პრინციპს; ცივილიზაცია გახსნილია მეზობელი ხალხებისთვის; არ ჩანს მოვლენათა კანონზომიერების მაძიებელი ინდივიდი.
- II ეგვიპტური – ჩაკეტილი ცივილიზაციაა; ამ კულტურაში ტრადიციისადმი ერთგულება განვითარების ყველა ეტაპზე აღემატებოდა ნოვატორობის სურვილს; არასოდეს ყოფილა შემუშავებული მხატვრული კანონების შეგნებული უარყოფის მცდელობა.
- III ბერძნული – კულტურული მემკვიდრეობისადმი კრიტიკულ-რაციონალური დამოკიდებულებაა; სიახლის მიმართ გახსნილი კულტურაა; თავისუფალ მოქალაქეს შეუძლია შეცვალოს საკუთარი ცხოვრება.

მათგან რომელია მართებული, ტექსტის მიხედვით?

- (ა) I და II
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) I და III

# მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;  
1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი:  $a$  რიცხვის  $k\%$  არის  $a \cdot \frac{k}{100}$ .

3. ხარისხი:  $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$  ( $n$ -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: თუ  $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$ , მაშინ  $ad = bc$ .

5. სიჩქარე:  $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$

7. ალბათობა: თუ ყველა ელემენტარული ხდომილება თანაბრად მოსალოდნელია, მაშინ ხდომილობის ალბათობა ტოლია ამ ხდომილობის ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა რაოდენობის შეფარდებისა ელემენტარულ ხდომილობათა საერთო რაოდენობასთან.

თუ ამოცანის პირობაში საწინააღმდეგო არაა ნათქვამი, ყოველთვის იგულისხმება, რომ ელემენტარული ხდომილობები თანაბრად მოსალოდნელია.

8. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a + b)^2 = a^2 + 2ab + b^2$$


$$(a - b)^2 = a^2 - 2ab + b^2$$

$$(a + b)(a - b) = a^2 - b^2$$

9. ნახაზზე კუთხე შეიძლება


მონიშნული იყოს კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით, მართი კუთხე კი - პატარა კვადრატით.

$\angle A$  აღნიშნავს  $A$  კუთხის სიდიდეს.



10. პარალელური წრფეები:

ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია:  $\alpha = \beta$ .



11. სამკუთხედი:


• სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი  $180^\circ$ -ის ტოლია;

• პითაგორას თეორემა:

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრეტი კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის ტოლია:

$$AB^2 = AC^2 + BC^2$$

• სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია:  $S = \frac{ah}{2}$ .



12. ოთხკუთხედი:

• ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი  $360^\circ$ -ის ტოლია;

• მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია:  $S = ab$ ;


• პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია:  $S = ah$ .

13. წრე, წრეწირი:

• წრეწირის სიგრძე  $L$  მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით:  $L = 2\pi r$ ;

$\pi$  რიცხვი, მესამედის სიზუსტით, 3,14-ის ტოლია;


•  $r$  რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით:  $S = \pi r^2$ .



14. მართკუთხა პარალელებიპედი:

• მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია:  $V = abc$ ;

• კუბის შემთხვევაში:  $a = b = c$ .



## რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს  $A$  და  $B$  სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ  $A$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $B$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ  $B$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $A$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	$A$	$B$	
--	-----	-----	--

51.	$\frac{1}{2} + \frac{1}{5}$	$\frac{1}{3} + \frac{1}{4}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-----------------------------	-----------------------------	-----------------


52.	ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდის სიგრძე მეტია კვადრატის გვერდის სიგრძეზე.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ტოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრი	კვადრატის პერიმეტრი	

53.	$x = -4, y = -2.$		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$3x - 4y$	$4x - 6y$	

54.	რიცხვების ციფრულ ჩანაწერებში ზოგიერთი ციფრი კვადრატითაა დაფარული (თითო ციფრი – თითო კვადრატით).		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$2 \blacksquare \cdot 3 \blacksquare$	$10 \blacksquare 4$	

55.	ერთ პირამიდას აქვს 6 წახნაგი, მეორე პირამიდას აქვს 8 წიბო.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	პირველი პირამიდის წიბოების რაოდენობა	მეორე პირამიდის წახნაგების რაოდენობა	

56.	$n$ ნატურალური რიცხვია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$27 \cdot 9^n$	$3^{2n+3}$	

57.	<p>ტოლდანაყოფებიან სკალაზე მონიშნულია M, N და K მწვერვალების სიმაღლეთა შესაბამისი წერტილები. ამასთან, M და N მწვერვალების სიმაღლეები ნახაზზეა მითითებული.</p> 	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<p>K მწვერვალის სიმაღლე</p> <p style="text-align: center;">5800 მ</p>	

58.	<p>ზრდის მიხედვით დალაგებული ნებისმიერი ხუთი რიცხვის მედიანა ამ რიცხვებიდან შუა რიცხვის ტოლია. მოცემულია ზრდის მიხედვით დალაგებული ხუთწევრიანი მიმდევრობა, რომლის მეორე წევრი 14-ზე მეტია.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<p>ამ მიმდევრობის მედიანა</p> <p style="text-align: center;">14</p>	

## ამოცანები


59. 12 მილიონი მეტია 4 მილიონ 700 ათასზე:

- (ა) 6,7 მილიონით
- (ბ) 7,3 მილიონით
- (გ) 7,7 მილიონით
- (დ) 8,3 მილიონით
- (ე) 8,7 მილიონით

60. სამი რიცხვიდან პირველი ორჯერ მეტია მეორეზე, ხოლო მესამე რიცხვი პირველი და მეორე რიცხვების ჯამის ტოლია. რამდენჯერ მეტია მესამე რიცხვი მეორეზე?

- (ა) 2-ჯერ
- (ბ) 3-ჯერ
- (გ) 4-ჯერ
- (დ) 5-ჯერ
- (ე) 6-ჯერ

61. ერთნაირი ქვის ფილები სვეტებად ისე დააწყვეს, რომ თითოეულ სვეტში ფილების რაოდენობა ტოლი იყო (იხ. ნახაზი). სულ რამდენი ფილა დაუწყვიათ?




- (ა) 24
- (ბ) 48
- (გ) 60
- (დ) 144
- (ე) 250

62. თუ  $\frac{2x-6}{2,5} = \frac{4-3x}{2,5}$ , მაშინ  $x - 4 =$

- (ა) 5
- (ბ) 3
- (გ) 2
- (დ) -1
- (ე) -2

## მონაცემთა ანალიზი

ობსერვატორიაში მისულ დამთვალიერებლებს მზის დისკოზე ტელესკოპით დაკვირვებას სთავაზობენ (თუ ცა მოწმენდილი იქნება). დიაგრამაზე ტეხილებით შემოსაზღვრულია არეები, რომლებიც გვიჩვენებს, ივნისის რომელ დღეებში და რომელ საათებში შეეძლოთ ობსერვატორიაში მისულ დამთვალიერებლებს მზის დისკოზე დაკვირვება. მაგალითად, დიაგრამიდან ჩანს, რომ 1 ივნისს მზის დისკოზე დაკვირვება შესაძლებელი იყო მხოლოდ 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

**63.** რამდენი საათის განმავლობაში შეეძლოთ დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება 6 ივნისს?

- (ა) 5
- (ბ) 6
- (გ) 7
- (დ) 8
- (ე) 9

**64.** ჩამოთვლილთაგან რომელ დღეს შეეძლოთ დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება 11.00 სთ-ზე?

- (ა) 5 ივნისს
- (ბ) 11 ივნისს
- (გ) 15 ივნისს
- (დ) 20 ივნისს
- (ე) 24 ივნისს

**65.** ივნისში სულ რამდენი დღე იყო ისეთი, როცა დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება მინიმუმ 9 საათის განმავლობაში შეეძლოთ?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 6
- (ე) 8

**66.** ტელესკოპით მზის დისკოზე დაკვირვება ერთ საათში მაქსიმუმ 80 დამთვალეირებელს შეუძლია. ტელესკოპით სარგებლობის საფასური თითოეული დამთვალეირებლისთვის 50 თეთრია. მაქსიმუმ რამდენი ლარი შეიძლება იყოს დამთვალეირებელთა მიერ გადახდილი თანხის საერთო რაოდენობა 26 ივნისს ტელესკოპით სარგებლობისთვის?

- (ა) 40
- (ბ) 80
- (გ) 120
- (დ) 160
- (ე) 200






71. კლასში 21 მოსწავლეა. მათგან ძმა ჰყავს 10 მოსწავლეს, და – 9-ს, ხოლო თვა, ნინო და თემური დედისერთები არიან. ამ კლასის სულ რამდენ მოსწავლეს ჰყავს დაც და ძმაც?

- (ა) 5
- (ბ) 4
- (გ) 3
- (დ) 2
- (ე) 1

72. მართკუთხა სამკუთხედიდან, რომლის ერთი კათეტის სიგრძეა 5 სმ, მეორისა – 7 სმ, ამოკვეთილია კვადრეტი, რომლის გვერდის სიგრძეა 2 სმ. რამდენი კვადრატული სანტიმეტრია სამკუთხედის დარჩენილი ნაწილის ფართობი?



- (ა) 13,5
- (ბ) 20
- (გ) 27,5
- (დ) 31
- (ე) 32,5


73. კალათბურთის გუნდში 5 მოთამაშეა. ვაჟა 10 სმ-ით მაღალია სანდროზე, ირაკლი 12 სმ-ით დაბალია ვაჟაზე, სანდრო 8 სმ-ით მაღალია გიაზე, მაგრამ 15 სმ-ით დაბალია დიტოზე. მათგან ყველაზე მაღალი კალათბურთელის სიმაღლეა 205 სმ. რამდენი სანტიმეტრია გიას სიმაღლე?

- (ა) 175
- (ბ) 178
- (გ) 180
- (დ) 182
- (ე) 187


74. თუ  $x$ ,  $y$  და  $z$  ერთმანეთისგან განსხვავებული ნატურალური რიცხვებია, რომელთაგან თითოეული 10-ზე ნაკლებია, მაშინ  $\frac{x-2y}{z}$  გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:

- (ა) 3
- (ბ) 4
- (გ) 5
- (დ) 7
- (ე) 9


75. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი ტეხილის წვეროთა კოორდინატები შეიძლება იყოს  $(-2; -3)$ ,  $(-1; -1)$ ,  $(0; -1)$ ,  $(1; 1)$ ,  $(2; 0)$ ,  $(3; 3)$ ?




(ა)




(ბ)



(გ)



(დ)



(ე)

## რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს  $A$  და  $B$  სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ  $A$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $B$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ  $B$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $A$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	$A$	$B$	
--	-----	-----	--

<b>76.</b>	<p>6 ბოთლ ქინძმარაულში და 1 ბოთლ საფერავში 80 ლარი გადაიხადეს.</p>		(ა) (ბ) (გ) (დ)
	1 ბოთლი ქინძმარაულის ღირებულება	12 ლარი	


<b>77.</b>	<p>( )<sup>*</sup>-ით აღნიშნულია ფრჩხილებში მოთავსებული რიცხვების ჯამის მნიშვნელობა. მაგალითად, <math>(2; 1; 7)^* = 2+1+7=10</math>.  <math>a, b</math> და <math>c</math> – უარყოფითი რიცხვებია.</p>		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$(a; b)^* + (b; c)^*$	$(a; b; c)^*$	

<b>78.</b>	<p>მართკუთხედის ფართობია <math>24 \text{ სმ}^2</math>. <math>ABC</math> სამკუთხედის ორი წვერო ამ მართკუთხედის მცირე გვერდების შუაწერტილებს ემთხვევა, ხოლო მესამე წვერო მართკუთხედის დიდ გვერდზე მდებარეობს.</p>		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$ABC$ სამკუთხედის ფართობი	$6 \text{ სმ}^2$	

<b>79.</b>	<p>ილიას ხელფასი 20%-ით მომატების შედეგად <math>a</math> ლარით გაიზარდა, ხოლო თორნიკეს ხელფასი 25%-ით დაკლების შედეგად <math>2a</math> ლარით შემცირდა.</p>		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ილიას ხელფასი მომატებამდე	თორნიკეს ხელფასი შემცირებამდე	

80.	12 საათის განმავლობაში 5 ერთნაირი ნათურის ნათებისას იხარჯება 40 თეთრის ღირებულების ელექტროენერგია.	50 თეთრი	(ა) (ბ) (გ) (დ)
	8 საათის განმავლობაში 8 ასეთივე ნათურის ნათებისას დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება		

81.	ანას და სოფოს ასაკთა საშუალო არითმეტიკული მათი და ეკას ასაკთა საშუალო არითმეტიკულის ტოლია.	ეკას ასაკი	(ა) (ბ) (გ) (დ)
	ანას და სოფოს ასაკთა საშუალო		

82.	წრეწირი, რომლის რადიუსის სიგრძეა $r$ , მასზე მდებარე A და B წერტილებით დაყოფილია ორ რკალად, რომელთაგან უმცირესის სიგრძე $a$ -ს ტოლია. OA და OB რადიუსებით შედგენილი კუთხის სიდიდეა $120^\circ$ .		(ა) (ბ) (გ) (დ)
	<input type="text" value="a"/>		

## ამოცანები

83. ციფრებით: 1, 2 და 4 ჩაწერეს ყველა შესაძლო ათწილადი ისე, რომ ყოველი ათწილადის ჩაწერისას გამოიყენეს სამივე ციფრი, თითოეული – მხოლოდ ერთხელ. მიღებული ათწილადებიდან უდიდესი მეტია უმცირესზე:

- (ა) 40,86-ით
- (ბ) 35,34-ით
- (გ) 29,7-ით
- (დ) 26,34-ით
- (ე) 22,86-ით

84. თუ  $m$ -ის მესამედი  $n$ -ის 10%-ით აღემატება  $n$ -ს, მაშინ  $m - n =$

- (ა)  $1,1n$
- (ბ)  $2,3n$
- (გ)  $2,6n$
- (დ)  $3,2n$
- (ე)  $29n$

85. ლიამ აკვარელის საღებავებით დახატა პორტრეტი, ნატურმორტი და პეიზაჟი. შემდეგ სამივე ჟანრის თითო ნახატი ზეთის საღებავებითაც შეასრულა. მას შესთავაზეს, რომ გამოფენაზე გამოეტანა სამივე ჟანრის თითო ნახატი, ოღონდ ამ ნახატებიდან ერთი მაინც უნდა ყოფილიყო აკვარელით შესრულებული. ნახატების შერჩევის რამდენი ვარიანტი აქვს მას?


- (ა) 3
- (ბ) 4
- (გ) 5
- (დ) 6
- (ე) 7

86. თაროზე წიგნების  $\frac{2}{9}$  ნაწილი – ინგლისურია,  $\frac{2}{3}$  ნაწილი – ქართული. მათ გარდა, თაროზე აწყვია რუსული წიგნები, რომელთა რაოდენობა 30-ით ნაკლებია ქართული წიგნების რაოდენობაზე. სულ რამდენი რუსული წიგნი აწყვია თაროზე?

- (ა) 6
- (ბ) 9
- (გ) 12
- (დ) 15
- (ე) 20

### მონაცემთა ანალიზი

წრიულ დიაგრამაზე მოცემულია, 2006 წელს საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართა საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტი იყო საქართველოდან, და რამდენი – ევროკავშირიდან, უკრაინიდან თუ სხვა ქვეყნებიდან. ცხრილში კი მოცემულია, 2005 და 2006 წლებში საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართაგან რამდენი ათასი იყო საქართველოდან და უკრაინიდან და რა იყო მათი სასტუმროში გაჩერების მთავარი მიზეზი (დასვენება, საქმიანი კონტაქტების დამყარება თუ სხვა).



	დასვენება		საქმიანი კონტაქტები		სხვა მიზეზი	
	საქართველო	უკრაინა	საქართველო	უკრაინა	საქართველო	უკრაინა
2005 წ.	27	3,6	31	10	32	1,4
2006 წ.	40	4,8	50	16	42	5,6

დიაგრამისა და ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

**87.** რამდენჯერ აღემატებოდა 2006 წელს საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ ევროკავშირიდან ჩამოსულ სტუმართა რაოდენობა უკრაინიდან ჩამოსულ სტუმართა რაოდენობას?

- (ა) 1,25-ჯერ
- (ბ) 1,4-ჯერ
- (გ) 1,5-ჯერ
- (დ) 2,25-ჯერ
- (ე) 3-ჯერ

**88.** უკრაინიდან ჩამოსული რამდენი ათასი სტუმარი დარეგისტრირებულა საქართველოს სასტუმროებში 2005 წელს?

- (ა) 11,4
- (ბ) 13,6
- (გ) 15
- (დ) 20,8
- (ე) 26

**89.** 2005 წელს სასტუმროებში დარეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის რა ნაწილს შეადგენდა საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა სასტუმროში გაჩერების მთავარი მიზეზი დასვენება იყო?

- (ა)  $\frac{2}{3}$
- (ბ)  $\frac{4}{5}$
- (გ)  $\frac{5}{6}$
- (დ)  $\frac{5}{8}$
- (ე)  $\frac{3}{10}$

**90.** ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული რამდენი ათასი სტუმარი დარეგისტრირებულა საქართველოს სასტუმროებში 2006 წელს?

- (ა) 24
- (ბ) 27
- (გ) 30
- (დ) 33
- (ე) 36

## ამოცანები

**91.** ისეთი წილადებიდან, რომელთა მნიშვნელი 24-ის ტოლია, რამდენია  $\frac{1}{3}$ -ზე მეტი, მაგრამ  $\frac{3}{4}$ -ზე ნაკლები?


- (ა) 5
- (ბ) 6
- (გ) 7
- (დ) 8
- (ე) 9

**92.** სპილენძის მადანს ორი საბადოდან მოიპოვებენ. პირველი საბადოდან მოპოვებული მადნის გადამუშავებით მიღებული სპილენძის წონა მადნის წონის 6-7 %-ია, ხოლო მეორე საბადოდან მოპოვებული მადნის გადამუშავებით მიღებული სპილენძისა – 44,5%.

**მინიმუმ** რისი ტოლია პირველი საბადოდან მოპოვებული 300 ტონა მადნის გადამუშავებით მიღებული სპილენძის წონის შეფარდება მეორე საბადოდან მოპოვებული 200 ტონა მადნის გადამუშავებით მიღებული სპილენძის წონასთან?

- (ა) 1,5-ის
- (ბ) 2-ის
- (გ) 2,5-ის
- (დ) 3-ის
- (ე) 3,5-ის

**93.** ტეხილის სამივე წვერო იმ ბადის კვანძებს ემთხვევა, რომლის თითოეული უჯრედი კვადრატია (იხ. ნახაზი). რამდენჯერ მეტია ამ ტეხილის სიგრძე ბადის უჯრედის გვერდის სიგრძეზე?



- (ა) 10,5-ჯერ
- (ბ) 11-ჯერ
- (გ) 11,5-ჯერ
- (დ) 12-ჯერ
- (ე) 12,5-ჯერ

**94.** მალაზიაში წითელი, მწვანე და ლურჯი ფერის კალმები იყიდება. თითოეული წითელი კალამი 10 თეთრი ღირს, მწვანე – 20 თეთრი, ხოლო ლურჯი – 40 თეთრი. ელენემ ამ მალაზიაში სამივე ფერის 10 კალამი იყიდა, რაშიც სულ 1 ლარი და 60 თეთრი გადაიხადა. რამდენი მწვანე კალამი უყიდა ელენეს?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

**95.** მარილის წონა ხსნარის წონის 3%-ს შეადგენდა. ხსნარს შეურიეს სუფთა წყალი, რომლის წონა ორჯერ აღემატებოდა ხსნარის წონას. მიღებული ხსნარის წონის რამდენი პროცენტი იქნება მარილის წონა?

- (ა) 1%
- (ბ) 1,5%
- (გ) 2%
- (დ) 2,5%
- (ე) 3%

**96.** თოკი დაჭრეს 4 ნაწილად, შემდეგ ერთ-ერთი ნაჭერი კვლავ 4 ნაწილად დაჭრეს და ასე გაიმეორეს რამდენჯერმე. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს მიღებული ნაჭრების საერთო რაოდენობა?

- (ა) 22
- (ბ) 28
- (გ) 36
- (დ) 43
- (ე) 55

**97.** სიბრტყეზე მოცემულია სამი წრეწირი, რომელთა რადიუსების სიგრძეა 7 სმ. ამ წრეწირთა ცენტრებს შორის მანძილებია 12 სმ, 15 სმ და 14 სმ. სულ რამდენია ისეთი წერტილი, რომელიც ამ წრეწირთაგან რომელიმე ორის საერთო წერტილია?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

**98.** სამგზავრო მატარებელი, ისევე, როგორც სატვირთო მატარებელი, თანაბარი სიჩქარით, შეფერხებების გარეშე მოძრაობდა. სამგზავრო მატარებელმა 30 წუთში 2-ჯერ უფრო მეტი მანძილი გაიარა, ვიდრე სატვირთო მატარებელმა – 25 წუთში. რამდენჯერ ნაკლებია სამგზავრო მატარებლის მიერ 10 წუთში გავლილი მანძილი სატვირთო მატარებლის მიერ 30 წუთში გავლილ მანძილზე?

- (ა) 1,6-ჯერ
- (ბ) 1,8-ჯერ
- (გ) 2-ჯერ
- (დ) 2,4-ჯერ
- (ე) 2,8-ჯერ

**99.** ABCDEFK შეიღკუთხედის C, D და K წვეროებიდან გავლებულია ყველა დიაგონალი. რისი ტოლია ამ დიაგონალების რაოდენობა?

- (ა) 8
- (ბ) 9
- (გ) 10
- (დ) 11
- (ე) 12

**100.**  $m$  და  $n$  ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ  $n < 18$  და  $m - n = 37$ . მაქსიმუმ რისი ტოლი შეიძლება იყოს  $m$ -ის  $n$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- (ა) 8
- (ბ) 9
- (გ) 10
- (დ) 11
- (ე) 12





ზოგადი უნარების ტესტის  
პასუხების ფურცელი

უტრინსკოდის ადგილი

პროგრამა არჩეულ პასუხად აღიქვამს შემდეგ სიმბოლოს



შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად



პირველი ნაწილი

ანალოგიები									წინადადება				ლოზიკა				ტექსტი							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
ა			X				X		X								X				X			
ბ	X					X		X				X		X						X		X		
გ				X			X			X	X					X		X	X					X
დ		X			X								X		X								X	

ანალოგიები						წინადადება						ლოზიკა					ტექსტი							
26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50
ა				X				X	X							X		X		X			X	
ბ				X	X										X		X					X		
გ		X				X	X					X		X							X			
დ	X		X							X	X		X						X					X

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შეფარება								სომცანები				მონაცემთა ანალიზი				სომცანები								
51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75
ა	X				X		X											X			X			
ბ						X		X	X														X	
გ			X			X											X					X		
დ		X		X						X		X		X	X			X			X			
ე											X		X			X				X				

რაოდენობრივი შეფარება								სომცანები				მონაცემთა ანალიზი				სომცანები								
76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100
ა						X	X		X		X							X						
ბ		X		X	X			X								X	X					X		
გ			X			X						X					X		X	X		X		
დ	X													X										X
ე								X					X		X									

" გავეცანი პასუხების მონიშვნის ინსტრუქციას და მზად ვარ, დავიწყო მუშაობა "